სს გალტ ენდ თაგარტი

2019 წლის II კვარტალი

ფინანსური ანგარიშგება

2019 წელი

დ. აღმაშენებლის გამზ. 79, თბილისი 0102, საქართველო, Tel: +995 322 444 132; Fax: +995 322 235 804 www.gt.ge

GALT & TAGGART
CREATING OPPORTUNITIES

შინაარსი

ბალანსი	1
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	2
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
შენიშვნა 1 ფული ბანკში	8
შენიშვნა 2 რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები	8
შენიშვნა 3 სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები	8
შენიშვნა 4 დარიცხული მოთხოვნები და ვალდებულებები	8
შენიშვნა 5 ძირითადი საშუალებები	9
შენიშვნა 6 საინვესტიციო ქონება	9
შენიშვნა 7 ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	9
შენიშვნა 8 ინვესტიციები ასოცირებულ საწარმოებში	9
შენიშვნა 9 არამატერიალური აქტივები	9
შენიშვნა 10 საოპერაციო შემოსავლები	10
შენიშვნა 11 ფასიანი ქაღალდების ოპერაციებით მიღებული შემოსავალი	10

GALT & TAGGART
CREATING OPPORTUNITIES

სს გალტ ენდ თაგარტი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში	შენიშვნა	30 ივნისი 2019	31 დეკემბერი 2018
მიმდინარე აქტივები			
ფული ბანკში (სადილერო)	1	344,991	529,987
ფული ბანკში (კლიენტები)		32,697,046	14,884,880
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები	2	573,740	535,320
სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები	3	13,764,592	4,476,798
დარიცხული მოთხოვნები	4	2,104,259	574,396
გაცემული სესხი		432,427	8,472,468
სხვა მიმდინარე აქტივები			740,127
სულ მიმდინარე აქტივები		**49,917,054**	**30,213,977**
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	320,078	289,313
საინვესტიციო ქონება	6	1,362,000	1,362,000
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში (51%-100%)	7	1,022,000	1,022,000
ინვესტიციები ასოცირებულ საწარმოებში (20%-50%)	8	928,592	928,592
არამატერიალური აქტივები	9	481,911	429,954
სხვა გრძელვადიანი აქტივები		185,586	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**4,300,167**	**4,031,859**
მთლიანი აქტივები		**54,217,221**	**34,245,835**
მიმდინარე ვალდებულებები			
ფულადი ვალდებულებები კლიენტების წინაშე		32,715,741	14,884,880
ძირითად საქმიანობაზე გაწეული მოკლევადიანი ვალდებულებები	4	412,621	620,572
მოკლევადიანი სესხი		2,165,174	674,618
საგადასახადო ვალდებულებები		12,944	3,163
სხვა დარიცხული ვალდებულებები		792,825	984,000
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**36,099,305**	**17,167,233**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი			-
გადავადებული შემოსავალი		130,267	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**130,267**	**-**
მთლიანი ვალდებულებები		**36,229,572**	**17,167,233**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		10,764,236	10,764,236
საემისიო კაპიტალი		24,959,537	24,959,537
გაუნაწილებელი მოგება		(18,645,171)	(18,645,171)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		909,047	
მთლიანი კაპიტალი		**17,987,649**	**17,078,602**
სულ მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		**54,217,221**	**34,245,835**

ქეთევან ვანიშვილი
მთავარი ბუღალტერი

ირაკლი კირტავა
გენერალური დირექტორი

დ. აღმაშენებლის გამზ. 79, თბილისი 0102, საქართველო, Tel: +995 322 444 132; Fax: +995 322 235 804 www.gt.ge

GALT & TAGGART
CREATING OPPORTUNITIES

სს გალტ ენდ თაგარტი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში	შენიშვნა	II კვარტალი 2019	II კვარტალი 2018	6 თვე 2019	6 თვე 2018
საოპერაციო მოგება(ზარალი)					
საკომისიო შემოსავალი	10	1,259,126	1,510,793	3,119,832	3,056,154
საკომისიო ხარჯი		(511,676)	(797,957)	(1,037,313)	(1,659,992)
სულ საოპერაციო შემოსავალი		**747,450**	**712,836**	**2,082,519**	**1,396,161**
საოპერაციო ხარჯები					
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯები		29,546	32,086	39,986	46,039
შრომის ანაზღაურების ხარჯი		447,925	385,102	877,005	727,531
დარიცხული ბონუსის ხარჯი		523,402	495,089	987,685	930,089
ადმინისტრაციული ხარჯი		115,480	172,611	309,270	296,952
ცვეთა და ამორტიზაცია		41,945	28,557	83,889	62,039
სხვა საერთო ხარჯი					
სულ საოპერაციო ხარჯი		**1,158,299**	**1,113,444**	**2,297,836**	**2,062,650**
წმინდა საოპერაციო მოგება / (ზარალი)		**(410,848)**	**(400,608)**	**(215,317)**	**(666,489)**
არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)					
საპროცენტო შემოსავლები		97,047	681,997	359,320	1,338,305
საპროცენტო ხარჯი		(31,767)	(13,183)	(45,575)	(32,484)
კურსთა სხვაობით მიღებული მოგება / (ზარალი)		437,431	128,859	478,308	(527,487)
ფასიანი ქაღალდების ოპერაციებით მიღებული მოგება/ (ზარალი)	11	216,468	(46,060)	236,524	8,826
სხვა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)		50,789	10,202	95,788	13,029
წმინდა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)		**769,968**	**761,814**	**1,124,364**	**800,189**
წმინდა მოგება /(ზარალი)		**359,119**	**361,206**	**909,047**	**133,701**

ქეთევან ვანიშვილი
მთავარი ბუღალტერი

ირაკლი კირტავა
გენერალური დირექტორი

დ. აღმაშენებლის გამზ. 79, თბილისი 0102, საქართველო, Tel: +995 322 444 132; Fax: +995 322 235 804 www.gt.ge

სს გალტ ენდ თაგარტი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

	ჩვეულებრივი აქციები	საემისიო კაპიტალი	ინვესტიციების გადაფასების რეზერვი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	მოგება (ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	10,764,236	24,959,537	-	-	(19,549,284)	**16,174,489**
6 თვის ბრუნვა					133,701	**133,701**
ნაშთი 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	**10,764,236**	**24,959,537**	**-**	**-**	**(19,415,583)**	**16,308,190**
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	10,764,236	24,959,537	-	-	(18,645,171)	**17,078,602**
6 თვის ბრუნვა	-	-	-	-	909,047	**909,047**
ნაშთი 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	**10,764,236**	**24,959,537**	**-**	**-**	**(17,736,124)**	**17,987,649**

ქეთევან ვანიშვილი
მთავარი ბუღალტერი

ირაკლი კირტავა
გენერალური დირექტორი

დ. აღმაშენებლის გამზ. 79, თბილისი 0102, საქართველო, Tel: +995 322 444 132; Fax: +995 322 235 804 www.gt.ge

GALT & TAGGART
CREATING OPPORTUNITIES

სს გალტ ენდ თაგარტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

	30 ივნისი	30 ივნისი
1. ფულადი ნაკადები ძირითადი საქმიანობიდან	**2019**	**2018**
წმინდა მოგება	359,119	361,206
ცვეთის კორექტირება	28,982	28,557
შემოსავლები საბროკერო საქმიანობიდან / მოთხოვნის (ზრდა) შემცირება	163,111	3,946,589
სხვა შემოსავლები / სხვა მოთხოვნების (ზრდა) შემცირება		(263,816)
ავანსების (ზრდა) შემცირება	(421,584)	(678,315)
კლიენტებზე გაცემული ფულადი სახსრები / ვალდებულების ზრდა (შემცირება)	(6,185,871)	(20,194,133)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები / ზრდა (შემცირება)	(959,103)	(3,983,028)
გადახდილი გადასახადები	5,501	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**(7,009,846)**	**(20,782,938)**
2. წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების (ზრდა) შემცირება	(33,816)	(124,538)
არამატერიალური აქტივების (ზრდა) შემცირება	(35,844)	-
მოკლევადიანი ინვესტიციების (ზრდა) შემცირება	(445,722)	398,754
გრძელვადიანი ინვესტიციების (ზრდა) შემცირება		-
მიღებული პროცენტი (ზრდა) შემცირება	65,280	5,195
მიღებული დივიდენდი	13,965	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(436,136)**	**279,412**
3. წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
გრძელვადიანი სესხის მიღება (გაცემა)	151,625	(554,975)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა		
საემისიო კაპიტალის გაზრდა		
გაუნაწილებელი მოგების ზრდა/(შემცირება)		
მოგება (ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან	437,431	128,859
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	**589,056**	**(426,116)**
ფულადი სახსრების სუფთა ზრდა	**(6,856,926)**	**(20,929,642)**
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	**39,898,962**	**35,424,688**
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დახურვისას	**33,042,036**	**14,495,046**

ქეთევან ვანიშვილი
მთავარი ბუღალტერი

ირაკლი კირტავა
გენერალური დირექტორი

დ. აღმაშენებლის გამზ. 79, თბილისი 0102, საქართველო, Tel: +995 322 444 132; Fax: +995 322 235 804 www.gt.ge

GALT & TAGGART
CREATING OPPORTUNITIES

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის II კვარტლის ანგარიშგებაზე

სააქციო საზოგადოება „გალტ ენდ თაგარტი“ (შემდგომში - „კომპანია“) საიდენტიფიკაციო ნომრით: 211359206 იურიდიული პირად რეგისტრირებულია საქართველოში, 1995 წლის 19 დეკემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართი არის: დავით აღმაშენებლის გამზირი №79, თბილისი, საქართველო. წარსულში კომპანია საქმიანობას ეწეოდა სახელწოდებით „გალტ ენდ თაგგარტ სექიურითის“ – 2000-2009 წლებში და „ბიჯი კაპიტალის“ დასახელებით – 2009-2014 წლებში, კომპანიის სახელი 2014 წლის 26 აგვისტოდან არის სააქციო საზოგადოება „გალტ ენდ თაგარტი“. კომპანია 2005 წლიდან წარმოადგენს საქართველოს ბანკის სრულად ფლობილ შვილობილ კომპანიას. 2015 წლის ნოემბერში სააქციო საზოგადოება გალტ ენდ თაგარტი დარეგისტრირებულ იქნა, როგორც ბგ ფაინანსის (საიდენტიფიკაციო ნომერი 402018018) სრულად ფლობილი შვილობილი, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანია ახორციელებს საბროკერო, საინვესტიციო-საბანკო, საკონსულტაციო და აქტივების მართვის მომსახურეობებს. ასევე, ახორციელებს ფინანსური აგენტის მომსახურებას, სასესხო ფასიანი ქაღალდებისა და ჩვეულებრივი აქციების კერძო და საჯარო განთავსებებს, საკონსულტაციო მომსახურებას კორპორაციული რესტრუქტურირების პროცესში, შერწყმისა და გაყოფის ტრანზაქციებში. 2000 წლიდან კომპანიის საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მაკროეკონომიკური სექტორებისა და კორპორაციული ანალიტიკური კვლევები. კომპანია უზრუნველყოფს გარიგებების დადებას წამყვან საერთაშორისო და რეგიონალურ ბაზრებზე. კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0102, დავით აღმაშენებლის გამზირი №79. კომპანია საბროკერო საქმიანობას ეწევა საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ 2014 წლის 10 სექტემბერს გაცემული საბროკერო საქმიანობის ლიცენზიის შესაბამისად. საბროკერო დეპარტამენტი მოიცავს სამ იუნითს: ფრონტ, ბექ და მიდლ ოფისებს. ფრონტ ოფისი პასუხისმგებელია გაყიდვებსა და კლიენტებთან კომუნიკაციაზე, ბექ ოფისის მოვალეობაში შედის ტრანზაქციების ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული საქმიანობა, ხოლო მიდლ ოფისი ჩართულია ანგარიშების გახსნის, დოკუმენტაციის მოგროვების/განახლების და საოპერაციო/სხვადასხვა რისკების მონიტორინგში. კომპანიის საბროკერო დეპარტამენტი სამივე იუნითის ჩათვლით მოიცავს 15-ზე მეტ თანამშრომელს, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ეწევიან მათთვის სპეციალურად გაწერილი ინსტრუქციისა და პროცედურული დოკუმენტაციის საფუძველზე.

საბროკერო დეპარტამენტი მომხმარებელს სთავაზობს ორი ტიპის საბროკერო (საინვესტიციო და კასტოდიანურ) ანგარიშს: G&T Brokerage-სა და G&T Trader-ს. მათგან პირველი არის ტრადიციული საბროკერო მომსახურება, სადაც ვაჭრობა ხორციელდება პირადი ბროკერის დახმარებით და მისთვის სავაჭრო დავალებების მიცემის საფუძველზე, ხოლო მეორე ანგარიში წარმოადგენს ონლაინ სავაჭრო პლატფორმას, სადაც კლიენტი ვაჭრობს დამოუკიდებლად კომპანიის ფრონტ ოფისის თანამშრომლების ჩართულობის გარეშე. ამ ანგარიშების მეშვეობით, კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ვაჭრობის შესაძლებლობას ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე საინვესტიციო ინსტრუმენტების ფართო არჩევანით. კომპანია ინტენსიურად თანამშრომლობს საერთაშორისო კასტოდიან ბანკებთან, როგორებიც არიან Clearstream-ი და Euroclear-ი. კომპანიის საბროკერო საქმიანობა არის მოწინავე საქართველოში და მთლიანი ბაზრის დაახლოებით 90%-ს ფარავს. კომპანია მომსახურებას უწევს 3,000-მდე მომხმარებელს, მათ შორის: რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

კომპანიის მთავარი მიზანია, მოახდინოს ბაზარზე პოზიციონირება, როგორც საუკეთესო ხარისხის სერვისის პროვაიდერმა, პროდუქტების ყველაზე მრავალფეროვანი არჩევანით (რეგიონების, აქტივების ტიპის და სტრუქტურის მიხედვით) და შესთავაზოს მომხმარებელს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ყველა ტიპის მომსახურება: მათ შორის ყიდვა/გაყიდვა, შენახვა, ფინანსირება და სხვა.

კომპანია შესაბამისობაშია საერთაშორისო ეთიკის სტანდარტებთან. კომპანია ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას. ამ ფუნქცია/მოვალეობებს კომპანიაში „ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური“ ასრულებს, რომელიც საბროკერო საქმიანობის მიმდინარეობის განუყოფელი ნაწილია.

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს მაკროეკონომიკურ და სექტორულ კვლევებს. აღნიშნული დოკუმენტები ქვეყნდება კომპანიის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. კომპანიას ჰყავს 6,000-მდე კვლევების გამომწერი. კვლევები ასევე განთავსებულია წამყვან საერთაშორისო პლატფორმებზე: Bloomberb, Capital IQ, Tomson Reuters და FactSet. საჯარო კვლევების გარდა, კომპანია იღებს კერძო დაკვეთებს, რომელიც მორგებულია კლიენტის საჭიროებაზე. კვლევების დეპარტამენტში დასაქმებულია 10 ადამიანი და აერთიანებს მაკრო, სექტორულ და ფასიანი ქაღალდების კვლევების მიმართულებებს.

საინვესტიციო საბანკო დეპარტამენტის მომსახურება იყოფა ორ ძირითად ნაწილად: საკონსულტაციო სერვისი და კაპიტალის ბაზრები. საკონსულტაციო სერვისი მოიცავს ფინანსური მრჩევლის მომსახურებას საჯარო და კერძო კომპანიებისა თუ ფიზიკური პირებისათვის, როგორც ლოკალურ ისე საერთაშორისო ბაზარზე. ხოლო კაპიტალის ბაზრების მიმართულება გულისხმობს პროექტებისა თუ მიმდინარე ოპერაციების დასაფინანსებლად საჭირო სახსრების მოზიდვაში დახმარებას, როგორც სასესხო ისე კაპიტალის ბაზრების მეშვეობით.

საკონსულტაციო სერვისი - კომპანია წლების მანძილზე დაგროვებული გამოცდილებასა და ძლიერი გუნდის მეშვეობით უწევს ფინანსური მრჩევლის მომსახურებას მომხმარებლებს ისეთ ტრანზაქციებში/ოპერაციებში, როგორებიცაა: კომპანიის შესყიდვა თუ გაერთიანება, ფინანსური რესტრუქტურიზაცია, კომპანიის შეფასება, კომპანიის მიერ რეიტინგის აღება, კონსულტაცია კომპანიის სტრატეგიასთან დაკავშირებით და ა.შ.

დ. აღმაშენებლის გამზ. 79, თბილისი 0102, საქართველო, Tel: +995 322 444 132; Fax: +995 322 235 804 www.gt.ge

კაპიტალის ბაზრები - კაპიტალის ბაზრებზე კომპანია უმეტეს წილად საჯარო/კერძო ფასიანი ქაღალდების განთავსების აგენტის სერვისითაა წარმოდგენილი. მისი დახმარებით, კორპორაციული და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ობლიგაციების ჯამურმა მოცულობამ 2014 წლიდან დღემდე დაახლოებით მილიარდ-ნახევარი ლარი შეადგინა. კაპიტალის ბაზრებზე კომპანიის საქმიანობა მოიცავს, როგორც კერძო/საჯარო კომპანიებთან ადგილობრივ ბაზარზე კორპორაციული ობლიგაციების გამოშვების მიმართულებას, ასევე საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტების მიერ გამოშვებულ ობლიგაციებსა და ევრო-ობლიგაციების გამოშვების ტრანზაქციებს.

სს გალტ ენდ თაგარტის შვილობილი კომპანიაა გალტ ენდ თაგგარტ ჰოლდინგს ლიმიტედ (Galt and Taggart Holdings Limited), რომლის 99.23%–ს ფლობს სს გალტ ენდ თაგარტი, ხოლო 0.77 %–ს ფლობს სს საქართველოს ბანკი. კომპანია რეგისტრირებულია კვიპროსზე 2006 წლის 3 ივლისს, სარეგისტრაციო ნომერი 179498, იურიდიული მისამართი: Arch. Makariou III 58, IRIS TOWER, 7-th floor, Flat/Office 702 P.C. 1075, Nicosia, Cyprus.

სააქციო საზოგადოება „გალტ ენდ თაგარტი“ის აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ფილიალი - დარეგისტრირდა 2013 წლის 28 დეკემბერს და ფუნქციონირებს, როგორც სს „გალტ ენდ თაგარტი"–ს ფილიალი ქ. ბაქოში. რეგისტრაციის ნომერი #1303493141, მისამართი: აზერბაიჯანის რესპუბლიკა, 1006 ქ. ბაქო, იასამალის რაიონი, მ. მუშფიგის ქ. 1ჯ. სასტურმო "კემპინსკის" ბადამბარის შენობა, მე-6 სართული. ამჟამად ფილიალის ფუნქციონირება შეჩერებულია.

სს გალტ ენდ თაგარტი ბუღალტრულ ჩანაწერებს და აღრიცხვას ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად (თანხობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია ლარებში თუ ტექსტში სხვაგვარად არ არის მითითებული).

ფინანსური ანგარიშგება არის ინდივიდუალური. ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა არ მოემზადებინათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფასს 10-ის „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების“ დებულებების თანახმად, რადგანაც კომპანია ამისთვის აკმაყოფილებს ყველა საჭირო პირობას:

- იგი წარმოადგენს მშობელი კომპანიის სრულ მფლობელობაში არსებულ შვილობილ კომპანიას, რომელიც ამზადებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას ფასს-ის სტანდარტების შესაბამისად, სადაც შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია.

- მისი სავალო ან წილობრივი ინსტრუმენტები არ იყიდება ღია ბაზარზე.
- კომპანიას ფასიანი ქაღალდების კომისიისთვის არ წარუდგენია და არც ირიცხება საკუთარი ფინანსური ანგარიშგებების წარდგენის პროცესში, ღია ბაზარზე ინსტრუმენტთა ნებისმიერი კლასის გამოშვების მიზნებისთვის.

შესაბამისად, კომპანია არ ახორციელებს შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებას ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში და არ აღრიცხავს ასოცირებულ კომპანიებს წილობრივი მეთოდით.

ბუღალტრული აღრიცხვის წესები

ფინანსური აქტივის შეფასება

1) სავაჭროდ განკუთვნილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდი - ფასდება რეალური საბაზრო ღირებულებით მოგება/ზარალის ცვლილებით.

2) სარეალიზაციოდ განკუთვნილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები - ფასდება რეალური საბაზრო ღირებულებით საკუთარ კაპიტალში ცვლილებით.

3) კაპიტალის ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციების შეფასება, რომელთაც აქტიურ ბაზარზე არ გააჩნიათ კვოტირებული საბაზრო ფასი და რომელთა ღირებულების ზუსტად დადგენა შეუძლებელია, განისაზღვრება მათი შესყიდვის თვითღირებულებით.

სს გალტ ენდ თაგარტი შვილობილ საწარმოებში შეტანილი ინვესტიციების აღრიცხვას აწარმოებდა ინვესტიციების ისტორიული ღირებულებით. 2015 წლის აუდიტის დასკვნის შესაბამისად, მოხდა ინვესტიციების გადაფასება საბაზრო ღირებულებით. გადაფასებული ღირებულება აისახა მოგება - ზარალში.

დ. აღმაშენებლის გამზ. 79, თბილისი 0102, საქართველო, Tel: +995 322 444 132; Fax: +995 322 235 804 www.gt.ge

რეალიზაციის ასახვა

სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდების რეალურ საბაზრო ფასად შეფასების შედეგად მიღებული რეალიზებული და არარეალიზებული მოგებისა და ზარალის აღიარება ისახება მოგება-ზარალის უწყისში, ყოველი თვის ბოლოს.

სარეალიზაციოდ განკუთვნილი საინვესტიციო ფინანსური აქტივების არარეალიზებული მოგების და ზარალის აღიარება ხდება პირდაპირ კაპიტალში გადაფასების რეზერვის ანგარიშზე ცვლილების შეტანით, ხოლო ამ კლასის ფინანსური აქტივების გაყიდვისას, თავდაპირველად კაპიტალში გადაფასების რეზერვის ანგარიშზე აღიარებული, აკუმულირებული მოგების და ზარალის გადატანა ხდება მოგება/ზარალის უწყისში.

2012 წლის 1 კვარტალში კომპანიამ შეცვალა გადაფასების მეთოდი აღიარებულ აქტივზე და მოთხოვნის (მყიდველის) ბოლო ფასის ნაცვლად სარგებლობს ბოლო გარიგების საბაზრო ფასით, ხოლო შესაძენ აქტივზე კვლავ იყენებს – მიწოდების (გამყიდველის) ფასს. როდესაც შეუძლებელია დადგინდეს მოთხოვნის და მიწოდების მიმდინარე ფასები, ყველაზე ბოლო ტრანზაქციის დროს დაფიქსირებული ფასი ჩაითვლება რეალურ საბაზრო ღირებულებად, იმ შემთხვევაში, თუ ამ ტრანზაქციის განხორციელების დღიდან არ მომხდარა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცვლელებები. თუ კომპანიას შეუძლია დაადასტუროს რომ ბოლო ტრანზაქციის დროს დაფიქსირებული ფასი არ წარმოადგენს რეალურ საბაზრო ღირებულებას, უნდა მოხდეს ამ ფასის კორექტირება.

უცხოურ ბაზარზე მიღებული შემოსავლები აისახება ეროვნული ბანკის კურსით ლარებში.

დ. აღმაშენებლის გამზ. 79, თბილისი 0102, საქართველო, Tel: +995 322 444 132; Fax: +995 322 235 804 www.gt.ge

1. ფული ბანკში

	6/30/2019	12/31/2018
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	111,088	92,671
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	224,026	309,927
უცხოური ვალუტა არარეზიდებტ ბანკში	9,876	127,389
სადილეროს ფულადი სახსრები	**344,991**	**529,987**
კლიენტების ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკში	31,556,953	14,209,310
კლიენტების ფულადი სახსრები არარეზიდენტ ბანკში	1,140,093	675,570
კლიენტების ფულადი სახსრები	**32,697,046**	**14,884,880**
სულ ფული ბანკში	**33,042,036**	**15,414,868**

2. რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები

	6/30/2019	12/31/2018
ინვესტიციები პრივილეგირებულ აქციებში	573,740	535,320
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები	**573,740**	**535,320**

3. სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები

	6/30/2019	12/31/2018
ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში	99,942	112,479
ინვესტიციები საპროცენტო სარგებლის მქონე სავალო ფასიან ქაღალდებში	13,664,649	4,364,319
სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები	**13,764,592**	**4,476,798**

4. დარიცხული მოთხოვნები

ფასიანი ქაღალდების პორტფელის და ფულადი სახსრების შემდეგ, მიმდინარე აქტივების ძირითადი ნაწილი მოდის დარიცხულ მიმდინარე მოთხოვნებზე 2,104,259 (რომლის 17% წარმოადგენს საბროკერო კომპანიის კლიენტებსა და კონტრაგენტებს შორის დადებულ გარიგებებს, რომელიც ამავდროულად აისახება კონტრაგენტების მიმართ ვალდებულების მუხლებზე - მოკლევადიანი ვალდებულება)

	6/30/2019	12/31/2018
დარიცხული მოთხოვნები	2,104,259	574,396
ძირითად საქმიანობაზე გაწეული მოკლევადიანი ვალდებულებები	412,621	620,572

დ. აღმაშენებლის გამზ. 79, თბილისი 0102, საქართველო, Tel: +995 322 444 132; Fax: +995 322 235 804 www.gt.ge

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	**244,534**	**199,463**	**203,019**
ცვლილება 6 თვე	17,041	12,356	59,332
ჩამოწერა			
ნაშთი 2019 წლის 30 ივნისი	**261,575**	**211,819**	**262,351**

ცვეთა	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	**126,520**	**114,587**	**116,596**
ცვლილება 6 თვე	20,870	19,253	17,840
ჩამოწერა			
ნაშთი 2019 წლის 30 ივნისი	**147,390**	**133,840**	**134,436**
ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება	**114,185**	**77,979**	**127,915**

6. საინვესტიციო ქონება

	6/30/2019	12/31/2018
საოფისე ფართი 412.23 m^2	1,362,000	1,362,000
საინვესტიციო ქონება	**1,362,000**	**1,362,000**

7. ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

	6/30/2019	12/31/2018
Galt and Taggart Holdings Limited 99.23 %	1,022,000	1,022,000
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	**1,022,000**	**1,022,000**

8. ინვესტიციები ასოცირებულ საწარმოებში

	6/30/2019	12/31/2018
GSE (JSC Georgia Stock Exchange) - 15.33%	110,250	110,250
TSE (JSC Tbilisi Stock Exchange) - 21.6%	818,342	818,342
ინვესტიციები ასოცირებულ საწარმოებში	**928,592**	**928,592**

9. არამატერიალური აქტივები

	6/30/2019	12/31/2018
არამატერიალური აქტივები	**481,911**	**429,954**

დ. აღმაშენებლის გამზ. 79, თბილისი 0102, საქართველო, Tel: +995 322 444 132; Fax: +995 322 235 804 www.gt.ge

10. საოპერაციო შემოსავლები

	II კვ - 2019	II კვ - 2018
საბროკერო საშუამავლო მომსახურება	1,096,904	953,113
საბანკო საინვესტიციო და კვლევების მომსახურება	162,222	557,680
საოპერაციო შემოსავლები	**1,259,126**	**1,510,793**

11. ფასიანი ქაღალდების ოპერაციებით მიღებული შემოსავალი

ფასიანი ქაღალდების ოპერაციებით მიღებული შემოსავალი

შემოსავალი	II კვ - 2019	II კვ - 2018
ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/ზარალი	235,319	(46,060)
ფასიანი ქაღალდების გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი	(18,850)	-
ფასიანი ქაღალდების ოპერაციებით მიღებული წმინდა შემოსავალი/ ზარალი	**216,468**	**(46,060)**

მიმდინარე წლის 30 ივნისის მდგომარეობით, სს გალტ ენდ თაგარტის საშუამავლო მომსახურების მიმართულებით სისტემაში დარეგისტრირებულია აქტივების მქონე 3183 კლიენტი. კლიენტების ტრანზაქციების ჯამურმა მოცულობამ II კვარტალში შეადგინა 378,078,369 ლარი, ტრანზაქციების რაოდენობა 877.

2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, მთლიანმა აქტივებმა შეადგინა 54,217,221 ლარი; მიმდინარე აქტივებმა შეადგინა 49,917,054 ლარი, ხოლო ვალდებულებებმა - 36,099,305 ლარი, რომლის ძირითადი ნაწილი მოდის კლიენტების მიმართ ფულად ვალდებულებებზე 90 % . მოკლევადიან სესხზე -6%, გრძელვადიან სესხზე - 0%, კონტრაგენტების მიმართ ვალდებულებებზე 2%, დარიცხულ ვალდებულებებზე 1%. არსებული მდგომარეობით მთლიანი აქტივები 2018 წლის 31 დეკემბერთან შედარებით გაიზარდა 58 %-ით, ხოლო მთლიანი ვალდებულებები გაიზარდა 111 %-ით

გრძელვადიანი ვალდებულება: - 130,267 ლარი
საწესდებო კაპიტალი შეადგენს - 10,764,236 ლარი
საემისიო კაპიტალი შეადგენს - 24,959,537 ლარი

საკუთარი კაპიტალი აკმაყოფილებს 2019 წლის საკუთარი კაპიტალის მოთხოვნას - რაც განისაზღვრება არანაკლებ 500,000 ლარი

ქეთევან ვანიშვილი
მთავარი ბუღალტერი

ირაკლი კირტავა
გენერალური დირექტორი

დ. აღმაშენებლის გამზ. 79, თბილისი 0102, საქართველო, Tel: +995 322 444 132; Fax: +995 322 235 804 www.gt.ge